



ბრანტების გზამკვლევი

2017

როგორ ჩავაბარო?
როგორ მოვიპოვო დაფინანსება?
რა დოკუმენტებია საჭირო დაფინანსების
მოსაპოვებლად?





ძვირფასო სტუდენტებო!

თუ თქვენ დაინტერესებული ხართ მედიცინით, ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი სწორედ ის ადგილია, სადაც მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის, უახლესი ტექნოლოგიებითა და ხელსაწყოებით აღჭურვილი აუდიტორიებისა და ლაბორატორიების დახმარებით ყველანაირი პირობაა შექმნილი ხარისხიანი სამედიცინო განათლების მისაღებად. აქ გადის გზა თქვენი წარმატებული სამედიცინო კარიერისაკენ.

ისმეთ დინდარ
რექტორი



როგორ ჩავაბარო?

საქართველოს მოქალაქეები ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტში ირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად. სავალდებულო საგნების გარდა, ჩვენს უნივერსიტეტში მოსახვედრად შეგიძლიათ შემდეგი არჩევითი საგნები ჩააბაროთ: ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა. 2017 წლისათვის კომპეტენციათა ზღვარი თითოეული საგნისათვის 55%-ია, გარდა ინგლისური ენისა. ვინაიდან ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე, ჩარიცხვის მსურველები უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენას გარკვეულ დონეზე. საქართველოს მოქალაქეებისათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად ინგლისური ენის ჩაბარება სავალდებულოა. 2017 წლისათვის კომპეტენციის მინიმალური ზღვარი ინგლისურ ენაში 80%-ია.

წელს, ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი გასცემს გრანტებს იმ სტუდენტთათვის, ვინც წარმატებით გადალახავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნივერსიტეტის მიერ დადგენილ კომპეტენციათა ზღვარს და ჩარიცხება ბაუ ბათუმის მედიცინის ფაკულტეტზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გავლით.



როგორ მოვიპოვო დაფინანსება?

დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა გაიაროს შემდეგი ეტაპები:

1

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტს მიანოჭოს უპირატესობა პრიორიტეტების ჩამონათვალში (ჩამონათვალში მიუთითოს პირველ ადგილზე);

2

წარმატებით ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები - გადალახოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კომპეტენციათა ბღვარი;

3

მოიპოვოს საგრანტო სერტიფიკატი, რომელიც გადაეცემა სტუდენტს უნივერსიტეტისაგან გასაუბრების შემდგომ, სადაც ასახული იქნება სტუდენტის მიერ მოპოვებული დაფინანსების რაოდენობა. სერტიფიკატი ძალაში შევა მას შემდეგ, რაც სტუდენტი ჩაირიცხება ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტზე.

სტუდენტს გადაეცემა საგრანტო სერტიფიკატი გასაუბრების წარმატებით გავლის შემდეგ, რომელიც ჩატარდება ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე.

რა დოკუმენტებია საჭირო დაფინანსების მოსაპოვებლად?

დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტმა მაქსიმალურად უნდა აჩვენოს საკუთარი შესაძლებლობები, რადგან უმნიშვნელო განსხვავებაც კი კანდიდატებს შორის ბოგჯერ შეიძლება იყოს გადამწყვეტი. აქედან გამომდინარე, გარდა ქულებისა, დიდი ყურადღება ექცევა კლასგარეშე ატივობებსაც.

ამიტომ, გთხოვთ მოემზადოთ კარგად და შემდეგი ინფორმაცია მოგვანოდოთ ელ-ფოსტაზე: admissions@bauinternational.edu.ge

- CV ფოტო სურათით, რომელშიც ასახული იქნება თქვენი ინტერესები, კლასგარეშე ატივობები, უნარები, ჰობი;
- ორი სარეკომენდაციო წერილი. ერთი აუცილებლად მასწავლებლისგან. წერილში მითითებული უნდა იყოს საკონტაქტო ინფორმაცია;
- სამოტივაციო წერილი - „რატომ გსურს გახდე მედიცინის სტუდენტი?“ (მინიმუმ 300 სიტყვა);
- საბუთი, რომელიც დაადასტურებს, რომ „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ პრიორიტეტების ჩამონათვალში პირველ ადგილზეა მითითებული;
- სტატია, წიგნი, ან პროექტი, რომელიც თქვენს მიერ არის დაწერილი;
- ოლიმპიადებში ან კონფერენციებში მონაწილეობის ამსახველი სერტიფიკატები ან დიპლომები;

გრანტის მოსაპოვებლად საბუთების მიღება იწარმოებს 2017 წლის 30 აპრილამდე.

წარმატებულ აპლიკანტებს გასაუბრება ჩაუტარდებათ მაისში. ზუსტი თარიღი გამოქვეყნდება ჩვენს Facebook და ვებ გვერდებზე.



INTERNATIONAL UNIVERSITY
BATUMI

გენ. ასლან აბაშიძის ქუჩა #14,
6000 ბათუმი, საქართველო.

www.bauinternational.edu.ge
info@bauinternational.edu.ge

0 422 21 25 35 / 36



BAUintBatumi